

04/02-215

11 მაისი, 2016

**შპს „Optical Systems Inc“-ზე გაცემულ ლიცენზიასთან
დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს
ქალბატონ ეკატერინე ბენდელიანს

ქალბატონო ეკატერინე,

გთხოვთ, მოგვანოდოთ შპს „Optical Systems Inc“-ზე გაცემული კეთილშობილი
ლითონების შესწავლა-მოპოვების (მესტიის რ-ნი) #724 ლიცენზიასთან
დაკავშირებული შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

- ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული
წარმოების ამსახველი დოკუმენტაციის ასლი;
- ლიცენზიის გაცემის მომენტიდან დღემდე, ლიცენზიის პირობების/კანონის
მოთხოვნების შესრულების შემონგების ამსახველი დოკუმენტაციის ასლი;
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 21-ე მუხლის მოთხოვნის
შესაბამისად, ლიცენზიის გაცემის მომენტიდან დღემდე სამინისტროში
წარდგენილი ლიცენზიის პირობების დაცვის ამსახველი ყოველწლიური
ანგარიშების ასლები.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე

აღმასრულებელი დირექტორი